საქართველოს მთავრობის

დადგენილება №615

2025 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 დეკემბრის №658 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 დეკემბრის №658 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2019, 040030000.10.003.021680) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-3 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილებები“;

ბ) „ლ^{1}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ^{2}“-„ლ^{3}“ ქვეპუნქტები:

„ლ^{2}) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 43^{1} მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენასა და აღკვეთას;

ლ^{3}) უფლებამოსილია, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 43^{1} მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის გამოსავლენად, ნებისმიერი ფიზიკური პირისგან ან იურიდიული პირისგან გამოითხოვოს კონფიდენციალური ინფორმაცია (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები).“.

2. მე-4 მუხლის:

ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სამსახურის უფროსი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოსცემს ინდივიდუალურ და ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს).“;

ბ) მე-11 პუნქტს „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) სანქციების აღსრულების მონიტორინგის სამმართველო.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**